სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების დღგ-ით დაბეგვრა N11115

ფაქტობრივი გარემოებები

დღგ-ის გადამხდელი პირი ახორციელებს სათესლე მასალისაგან ჩითილების (მშ დამყნობილი) წარმოება/ გამოყვანას.

ვარიანტი I

ჩითილები აწარმოა/გამოიყვანა მის მიერ იმპორტირებული სათესლე მასალისაგან და მათი მიწოდება განახორციელა ერთჯერად საფუთავებში (კასეტები, მუყაოს ყუთები).

ვარიანტი II

ჩითილები გამოიყვანა დამკვეთისაგან მიღებული სათესლე მასალისაგან და გადასცა დამკვეთს.

ორივე ვარიანტში

გადასახადის გადამხდელმა აღნიშნული მიწოდება არ ჩათვალა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად და არ დაბეგრა დღგ-ით.

შეფასება

I ვარიანტში:

საქართველოს ტერიტორიაზე ჩითილების მოყვანა და მისი შემდგომ რეალიზაცია, ბასს 41-ის სტანდარტის შესაბამისად, ჩაითვლება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობად, ხოლო აღნიშნული საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტი-სასოფლო სამეურნეო პროდუქციად.
იმის გათვალისწინებით, რომ იმპორტირებული სათესლე მასალისგან ჩითილების გამოყვანა/ტრანსფორმაცია ხორციელდება საქართველოში, აღნიშნული განიხილება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში, საქართველოში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციად.

ასევე, რამდენადაც ერთჯერადი საფუთავები (კასეტები, მუყაოს ყუთები), ძირითადი საქონლის (ჩითილის) მიმართ დამხმარე ხასიათისაა, არ ზრდის ჩითილის ღირებულებას და მათი მიწოდება ცალკე არ ხდება, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, განიხილება ძირითადი საქონლის (ჩითილის) მიწოდების ნაწილად.

ამდენად, იმპორტირებული სათესლე მასალისგან ჩითილების გამოყვანა და მათი მიწოდება მ.შ. ერთჯერადი საფუთავებით, გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით სსკ-ის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ფ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

II ვარიანტში:

დამკვეთისაგან მიღებული სათესლე მასალისაგან ჩითილების გამოყვანა, როგორც დამკვეთის ნედლეულით (მასალით) საქონლის წარმოება, სსკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის "ქ" მიხედვით, განიხილება დამკვეთისათვის გაწეულ მომსახურებად და შესაბამისად დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.

ღონისძიებები

I ვარიანტში:

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ ხდება.

II ვარიანტში:

გადამხდელს დაერიცხება დღგ-ის ძირითადი თანხა და დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმით.